



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011731603343120

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

306928

07 / სექტემბერი / 2020 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისა და ადმინისტრაციულ წარმოებაში

დაინტერესებული პირების ჩაბმის შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 323909/17; თარიღი: 01.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: დავით კენჭოშვილი (პირადი ნომერი 62013001633).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „იმერეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020525330-03 (14.08.2020) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ № 882020525330-03 (14.08.2020) გადაწყვეტილების კანონიერების შესწავლა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

უძრავი ნივთის მისამართი: ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი თაბაგრები.

№ 882020525330 განცხადებაზე მიმდინარე სარეგისტრაციო წარმოების დროს დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებს, 38.06.32.778 და 38.06.32.774 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისა (მესაკუთრეები: ელენა კენჭოშვილი (პირადი ნომერი 54001020151; ვასილ კენჭოშვილი (პირადი ნომერი 54001053064)) და № 892017273934 განცხადებით (საკადასტრო კოდი: 38.06.32.774, დაინტერესებული პირი: მირზა თაბაგარი (პირადი ნომერი 54001000404)) სარეგისტრაციოდ წარდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემებს შორის.

№ 323909/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემონმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგინდა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე,


შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმობაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი ამრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმობაში.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმობაში დავით კენჭოშვილის (პირადი ნომერი 62013001633) №323909/17 (01.09.2020) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. № 323909/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმობაში დაინტერესებული პირების სტატუსით ჩაბმულ იქნენ: ელენა კენჭოშვილი (პირადი ნომერი 54001020151), ვასილ კენჭოშვილი (პირადი ნომერი 54001053064) და მირზა თაბაგარი (პირადი ნომერი 54001000404);
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ იმერეთის რეგიონულ ოფისსა და ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირებს;
4. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმობაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმობის მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და ჭიათურის მუნიციპალიტეტის უსახელოს საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად  დავით დევიძე